ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის №01-02/225 ბრძანების
დანართი №1

(კოდიფიცირებულია ცვლილებებითა და დამატებებით:
*14.08.2024 №01-02/140 - ჩამოყალიბდა **№1 დანართის** ახალი რედაქცია;*
*№01-02/108, **12.06.2026)***

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
მიღების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის (შემდეგში - მინისტრი) 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების შესაბამისად და არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ“) საბაზო, საშუალო, მათ შორის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდეგში - პროფესიულ პროგრამები) აპლიკანტთა მიღების, შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურას.
2. ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად მიმართვის შემთხვევაში ბსუ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უზრუნველყოფს:
ა) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების გაცნობას;
ბ)კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
გ) პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში, რეგისტრაციაში დახმარებას;
დ) ინფორმაციის მიწოდებას გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.
3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, მათი მომართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის ბსუ-ს მიერ ჩატარებულ ღია კარის დღეებში, უზრუნველყოფს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - ბსუ-ს პროფესიული ცენტრი). *(ცვლილება - №01-02/108, **12.06.2026)***

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების (ჩარიცხვის) ეტაპები და დაშვების წინაპირობები

1. პროგრამაზე მიღების (ჩარიცხვის) პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) ბსუ-ს მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;
დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;
ე) შედეგების გამოცხადება, პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება.
2. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, ბსუ ელექტრონულად ავსებს ანკეტა-კითხვარს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ბსუ უფლებამოსილია მიღება გამოაცხადოს ორი სასწავლო გეგმით (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(ცვლილება - №01-02/108, **12.06.2026**)*

4. ბსუ-ში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:
ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება ბსუ-ს მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;
გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.
5. **მინისტრის** 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ **ბრძანებით დამტკიცებული** ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ (შემდეგში - მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესი) შესაბამისად რეიტინგული სიების დაწესებულებებისთვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში ბსუ უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში. *(ცვლილება - №01-02/108, **12.06.2026**)*
6. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ შორის პირი, რომელსაც აქვს:
ა) სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დაიშვებაიმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
ბ) სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი - დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
7. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
8. პირი ვალდებულია პროგრამაზე ჩარიცხვიდან **3 თვის** ვადაში ბსუ-ს წარუდგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების

დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა. *(ამოღებულია - №01-02/108, 12.06.2026)*
9. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს. *(ამოღებულია - №01-02/108, 12.06.2026)*

მუხლი 3. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში (პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელი ელექტრონული მოდული) და რეგისტრირდება აპლიკანტად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა. *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*
4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი. *(დამატება- №01-02/108, 12.06.2026)*

5. აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი ბსუ-ს რექტორს წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს (ამზადებს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი) პროფესიულ პროგრამაზე (ებზე) რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობის, არაქართულენოვანი აპლიკანტების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების, აგრეთვე, იმ აპლიკანტების შესახებ, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანების მე-20 მუხლის შესაბამისად, უფლება აქვთ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გარეშე ჩაირიცხონ. *(დამატება- №01-02/108, 12.06.2026)*

მუხლი 4. აპლიკანტთა შერჩევა საბაზო და საშუალო, მათ შორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (ინტეგრირებული პროგრამა)

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.
2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

3. ბსუ-ში აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე (გარდა უცხოენოვანი პროგრამებისა).
4. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესით და ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით, რომლითაც რეგულირდება:
ა) შერჩევის ვადები და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვა;
ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმები;
გ) შეფასების მეთოდები (ტესტირება ან/და გასაუბრება ან/და შემოქმედებითი/სპეციალური ტური ან/და პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი) და ეტაპები;
დ) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
ე) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა;
ვ) აპელაციის პროცედურა და ვადები;
ზ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის პროცედურები;
თ) ბსუ-ს მიერ განსაზღვრული სხვა პირობები.
5. საბაზო და საშუალო, მათ შორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. აღნიშნული ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში, განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და ეცნობება აპლიკანტებს (სარეგისტრაციო სისტემაში მითითებულ ელფოსტაზე), შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

6. მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ბსუ სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
7. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული აპლიკანტთა რეიტინგული სია მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
8. აპლიკანტთა შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, რომელიც დგება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
10. აპლიკანტი რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, ინფორმაციის აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და ბსუ-ში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს. *(ამოღებულია - №01-02/108, 12.06.2026)*

მუხლი 5. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება

1.უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - „გამოცდების ცენტრი“) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“

(შემდგომ – სწავლის სფეროების კლასიფიკატორი) გათვალისწინებული მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნების დეტალური სფეროს (კოდი: 0215) და სპორტის დეტალური სფეროს (კოდი: 1014) პროგრამებისა. *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

2. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად შეფასება შესაძლოა განხორციელდეს გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით და ბსუ უფლებამოსილია შერჩევის მეთოდად ანკეტა-კითხვარის შევსების ეტაპზე განსაზღვროს გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება.

3. ბსუ-ში აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე (გარდა უცხოენოვანი პროგრამებისა). *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

4. ბსუ უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვროს **შერჩევის დამატებითი ფორმა.**

5. ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით რეგულირდება:

ა) შეფასების ვადები და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვა;

ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმები;

გ) შეფასების მეთოდები (ტესტირება ან/და გასაუბრება ან/და პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი) და ეტაპები;

დ) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

ე) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა;

ვ) აპელაციის პროცედურა და ვადები;

ზ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის პროცედურები;

თ) ბსუ-ს მიერ განსაზღვრული სხვა პირობები.

6. აღნიშნული ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში, განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და ეცნობება აპლიკანტს (ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმის შესაბამისად), შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასების პროცესისათვის შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი გამორიცხავს მხოლოდ ბსუ-ს წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებს ბსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას. *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

7. სსიპ - გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ამ ცენტრის დირექტორი.

8. **ამ მუხლის** 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე), თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დაკარგავს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

9. შერჩევის დამატებითი ფორმის არსებობის შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ბსუ უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე (დამატებითი შერჩევაზე).

10. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა **აპლიკანტთა რეიტინგულ სიას ადგენს:**

ა) იმ **საშუალო პროფესიული** პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება - ტესტირებისა და ბსუ-ს შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით;

ბ) უმაღლესი პროფესიული პროგრამისთვის - ტესტირების, ბსუ-ს შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსის გათვალისწინებით. *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

11. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია, განათლების მიღწეული დონის მიხედვით: *(ამოღებულია - №01-02/108, 12.06.2026)*

ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება.

12. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგული სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

13. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

14. აპლიკანტთა რეიტინგული სიები თითოეული პროგრამის მიხედვით აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.

15. აპლიკანტი რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, ინფორმაციის აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და ბსუ-ში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს. *(ამოღებულია - №01-02/108, 12.06.2026)*

მუხლი 6. ტესტირება

1. ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომლისთვისაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება. *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

2. ბსუ-ს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად **აუცილებელია** ტესტირების გავლა აკადემიურ უნარებში.

3. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, შესაძლებელია ბსუ-ს მიერ მოთხოვნილი იყოს ტესტირების გავლა აკადემიურ უნარებში. *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

4. თითოეულ აპლიკანტზე, რომელიც დარეგისტრირდა ბსუ-ს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, რომელზეც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, სარეგისტრაციო სისტემაში გენერირდება საგამოცდო ბარათი.

5. საგამოცდო ბარათში მითითებულია აპლიკანტის შემდეგი პერსონალური მონაცემები – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და აპლიკანტის ფოტოსურათი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აპლიკანტის ფოტოსურათი ფიქსირდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ბარათში ასევე მიეთითება ის საგამოცდო ცენტრი, სადაც აპლიკანტი გაივლის ტესტირებას, ჩასაბარებელი ტესტი, ტესტირების ჩატარების თარიღები და ტესტირებაზე რეგისტრაციის დაწყების დრო.

მუხლი 7. შეფასების კომისია

1. აპლიკანტების შერჩევა ტარდება ბსუ-ს შეფასების კომისიის მიერ.
2. შეფასების კომისიის შემადგენლობა, აპლიკანტების შეფასების ჩატარების თარიღი და ადგილი განისაზღვრება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
3. შეფასების კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, რომელთა შემადგენლობაშიც შესაძლოა შედიოდეს:
ა) ცენტრის დირექტორი;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
გ) დარგის ექსპერტი;
დ) ბსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი/დამსაქმებელი.
4. შეფასების კომისია პასუხისმგებელია აპლიკანტის კვალიფიციურ, ობიექტურ და მიუკერძოებელ შეფასებაზე.
5. შეფასების კომისია უფლებამოსილია განახორციელოს საქმიანობა, თუ კომისიის წევრთა უმრავლესობა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომდგენელ(ებ)ია.
6. შეფასების კომისიის წევრების მიერ აპლიკანტთა შეფასება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბსუ-ს მიერ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.
7. შეფასების კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ.

მუხლი 8. შეფასებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობები

1. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შეფასების ადგილზე და თან იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის მოწმობა.
2. შეფასებაზე გამოუცხადებლობა ან/და 30 და მეტი წუთით დაგვიანება, აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი შერჩევის ჩატარება, მიუხედავად იმისა, გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება გამოწვეულია საპატიო მიზეზით, თუ არა.
3. შერჩევის დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს: ა) წყალი; ბ) პირადი ჰიგიენის საგნები; გ) საჭიროების შემთხვევაში - სხვა ნივთები (მაგ. სუნთქვის აეროზოლი, მედიკამენტები და სხვა), საკონკურსო კომისიის თანხმობით.
4. შერჩევის დროს აპლიკანტს ეკრძალება:
ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების და სხვათა გამოყენება, გარდა იმ რესურსისა, რაც გათვალისწინებულია შეფასების სპეციფიკით;
გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
დ) შერჩევის ადგილის უნებართვოდ დატოვება (შერჩევის ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ საკონკურსო კომისიასთან შეთანხმებით, თანმხლებ პირთან ერთად).
5. შერჩევის დროს ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში დატოვებს შერჩევის ადგილს და არ შეფასდება.

მუხლი 9. სააპელაციო კომისია და აპელაციის წესი

1. აპლიკანტს უფლება აქვს შეფასების შედეგების შერჩევის პროცედურების გასაჩივრების მიზნით ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარიის) მეშვეობით წარმოადგინოს

საპრეტენზიო განაცხადი (აპელაცია), შეფასების შედეგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა.
2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია (არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით). სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს შეფასების კომისიის წევრი.
3. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საპრეტენზიო განაცხადს, წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ვადაში.
4. კომისიას უფლება აქვს შეფასების ობიექტურობის დადგენის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
5. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება აპლიკანტს ეცნობება აპელაციების განხილვის დღის ბოლოს.
6. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - აპლიკანტის შეფასების საბოლოო ქულა ეცნობება - სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.
7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
8. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განხილვას აღარ ექვემდებარება.

მუხლი 9[1]. შედეგები, საბოლოო არჩევანი და შედეგების გამოცხადება *(დამატება - №01-02/108, 12.06.2026)*

1. რეიტინგული სიის შედგენის მიზნით სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ტესტირებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში, მართვის სისტემას ელექტრონული ფორმით აწვდის აპლიკანტთა ტესტირების შედეგებს, ხოლო ბსუ, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროგრამა აქვს არჩეული, შესაბამისი ინფორმაციის აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, **სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება.** ამ პუნქტით გათვალისიწინებული ვადის ამოწურვიდან მომდევნო სამუშაო დღეს მართვის სისტემა უზრუნველყოფს:
ა) დაწესებულებისთვის (ბსუ) აპლიკანტთა საბოლოო არჩევანის გათვალისწინებით რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულისა და მისი საბოლოო არჩევანის გათვალისწინებით.

მუხლი 9[2]. უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების გარეშე ჩარიცხვა *(დამატება - №01-02/108, 12.06.2026)*

1. უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის შეფასების მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ:
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე/დამატებით დაცვის მქონე პირებს.

2. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების დარეგისტრირების შემთხვევაში, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება შესაბამის პროგრამაზე მიღებისათვის ამ პირთა შეფასების წესი, მეთოდები და ეტაპები, შეფასების კომისიის შექმნისა და კომისიის მუშაობის წესი.
3. ამ მუხლის შესაბამისად ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, რომელიც აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტის ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე ხელმისაწვდომია სსსმ აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტებთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.
2. პირს, რომელსაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სსსმ პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია.
3. ბსუ განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.
4. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, ბსუ-ს უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, ბსუ რექტორი გამოსცემს ბრძანებას, მონაცემებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა აპლიკანტმა ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენლმა, ხელშეკრულების გაფორმებისა და პირადი საქმის გახსნის მიზნით, უნდა წარადგინოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადებში და ადგილზე.

მუხლი 11. პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება *(ცვლილება - №01-02/108, 12.06.2026)*

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტების ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

2.. ბსუ-ში ჩარიცხვის თაობაზე აპლიკანტის განცხადების წარმოდგენის (წერილობითი ნების გამოხატვის), აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებების გაფორმების პროცესის წარმართვის მიზნით გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრება:

ა) პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების გაფორმებისა და ჩარიცხვის თაობაზე აპლიკანტის სარეგისტრაციო განაცხადის წარმოდგენის ვადა (სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით და იგი მოიცავს აპლიკანტის მიერ ბსუ-ს რეგულაციების/შინაგანაწესის გაცნობის დადასტურების და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის განაცხადის კომპონენტებს);
ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;
გ) დოკუმენტების წარდგენის ფორმა და ვადები;
დ) ხელშეკრულების გაფორმების პირობები და ვადები;
ე) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები;
ვ) სხვა საკითხები, აპლიკანტთა რეგისტრაციის, ხელშეკრულების გაფორმებისა და ჩარიცხვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.
3.. ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ აპლიკანტთა სარეგისტრაციო განაცხადების მიღებისა და რეგისტაციის თაობაზე ბსუ-ს განცხადება ქვეყნდება/ვრცელდება ბსუ-ს ვებგვერდზე. ბსუ-ს განცხადებას თან ერთვის (ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე) ბსუ-ს რეგულაციები (მათ შორის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი, პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები) და პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმა.

4. ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით წარდგენილი უნდა იქნეს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ დოკუმენტაცია, მათ შორის:

ა) აპლიკანტის (არასრუწლოვანი/შეზღუდულ ქმედუნარიანი/მხარდაჭერის მიმღები აპლიკანტის შემთხვევაში - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის) წერილობითი განცხადება;

ბ) აპლიკანტის (არასრულწლოვანი/შეზღუდულ ქმედუნარიანი/მხარდაჭერის მიმღები აპლიკანტის შემთხვევაში - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;

დ) 2 ცალი ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3x4-ზე;

ე) საბაზო საფეხურის/სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების ან/და სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე, თუ სრული ზოგადი განათლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;

ვ) უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

ზ) კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა;

ი) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი (აღრიცხვას დაქვემდებარებული აპლიკანტების შემთხვევაში);

კ) სხვა დოკუმენტაცია, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. ბსუ უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

6. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.

7. რეიტინგულ სიაში აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი: ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე ბსუ-ს მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში; ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში.

8. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, ბსუ-ს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად. **თუ ამ პუნქტის** საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის

განსაზღვრულ ადგილებს. ბსუ უფლებამოსილია საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რეიტინგული სიის გათვალიწინებით დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე (რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს) აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

9. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი უზრუნველყოფს აპლიკანტების მიერ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, ფორმით და წესით, ელექტრონულად ან/და მატერიალური სახით წარმოდგენილი და ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ასახული აპლიკანტების სარეგისტრაციო განაცხადების და თანდართული დოკუმენტაციის დამუშავებას, აღნიშნულ პირებთან გასაფორმებელი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმების მომზადებას (მონაცემების შევსებას), ასევე აპლიკანტების განცხადებებში აღნიშნულ ელფოსტის მისამართებზე ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის და ბსუ-ს იმ რეგულაციების დამატებით დაგზავნას, რომლებიც აღნიშნულია ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში (რომელთა გაცნობის დადასტურებაზე აცხადებს თანხმობას აპლიკანტი, ხელშეკრულების გაფორმებით და ხელმოწერით) და სტუდენტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით/ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად სხვა დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

10. ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება და პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 12. 2026 წელს პროფესიულ სტუდენტთა მიღება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე *(დამატება - №01-02/108, 12.06.2026)*

1. 2026 წელს ბსუ უფლებამოსილია, უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მიღება განახორციელოს აგრეთვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომ – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება) შესაბამისად, გარდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნების დეტალური სფეროს (კოდი: 0215) და სპორტის დეტალური სფეროს (კოდი: 1014) პროგრამებისა.

2. აბიტურიენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და რეგისტრაციისას აირჩევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

3. 2026 წელს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ბსუ-ს უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (2026 წლის მარტში) ელექტრონულად შევსებული იქნა ანკეტა-კითხვარი, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

4. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე 2026 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება 2026 წლის 10 მარტის მდგომარეობით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელი საგანი/საგნები, შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით, მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით, რომელიც ანკეტა-კითხვარში შევსებულ ინფორმაციასთან ერთად აისახება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.

6. თუ აბიტურიენტს ჩაბარებული აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამისთვის ორი ან რამდენიმე საგნის გამოცდა, შესაბამის პროგრამაზე მისი ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტისთვის რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპი.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელ საგანში აბიტურიენტის მიერ გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით შესაბამისი საგნისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნახევარზე მეტს.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის განსაზღვრულია რამდენიმე ჩასაბარებელი საგანი, ბსუ-ს მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ნაწილდება ჩასაბარებელი საგნების რაოდენობის პროპორციულად. პროპორციული განაწილების ზუსტად განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საგანთა ჩამონათვალში მითითებულ პირველ საგანს.

9. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებული საგნობრივი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღისა გამოცდების ეროვნული ცენტრი შეიმუშავებს და ამტკიცებს რანჟირების დოკუმენტს თითოეული აბიტურიენტისათვის ბსუ-ს და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბსუ-ს პროფესიული პროგრამის მითითებით, რომელზე სწავლის უფლებაც მან მოიპოვა.

რანჟირების დოკუმენტის შედგენა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად.

10. გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს რანჟირების დოკუმენტის მიწოდებას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის და ბსუ-სთვის, ხოლო მართვის სისტემა უზრუნველყოფს ბსუ-სათვის რანჟირების დოკუმენტის ხელმისაწვდომობას, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

11. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ აბიტურიენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ბსუ-ში წარადგენს სარეგისტრაციო განცხადებას (ბსუ-ში პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვაზე წერილობით გამოხატული ნება) და დოკუმენტაციას, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში და წესით (ამ წესის მე-11 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით).

12. ბსუ ვალდებულია დადგენილ ვადებში აბიტურიენტი ჩარიცხოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად, აბიტურიენტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

13. 2026 წელს უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ფარგლებში ჩარიცხული პირებისთვის სწავლის დაწყების თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს **2026 წლის პირველი ოქტომბერი.** სწავლის დაწყების ზუსტი თარიღი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და ეცნობება ამ მუხლით დადგენილი წესით ჩარიცხულ აბიტურიენტებს.

14. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები *(დამატება - №01-02/108, 12.06.2026)*

1.. წინამდებარე წესი დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. აღნიშნულ წესში ცვლილების და დამატების შეტანა ხორციელდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ წესში, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის („პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანება და სხვა, შესაბამისი საკანონმდებლო სამართლებრივი აქტების) შესაბამისად.